



აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები მოკლე მიმოხილვა

რა არის ობლიგაცია?

ობლიგაცია არის სავალდებულო ფასიანი ქაღალდი, რომლის მეშვეობით ობლიგაციის გამომშვები (ემიტენტი) სესხეულობს გარკვეულ თანხას წინასწარ განსაზღვრული პერიოდით. ემიტენტი ობლიგაციის მყიდველს (ინვესტორს) უხდის კუპონის განაკვეთს (%) წელიწადში ერთხელ ან რამდენიმეჯერ, ხოლო ვადის ბოლოს კი ძირ თანხას. ობლიგაცია შეიძლება გამოუშვას ერთეულმა კორპორაციამ, ფინანსურმა ინსტიტუტებმა და სახელმწიფომ. აქციებთან შედარებით, ობლიგაცია უფრო დაბალ რისკიანად ითვლება, რადგან ობლიგაციების უკუგება მეტწილად წინასწარ არის განსაზღვრული. ამასთანავე, სახაზინო ობლიგაციები უფრო დაბალი რისკიანობით ხასიათდება, ვიდრე კორპორატიული ობლიგაციები.


რა არის აშშ-ს სახაზინო ობლიგაცია?

აშშ-ს სახაზინო ობლიგაციის მეშვეობით ინვესტორი აძლევს სესხს აშშ-ს მთავრობას. ამ ტიპის ობლიგაცია პრაქტიკულად ურისკო საინვესტიციო საშუალებად მიიჩნევა, რადგან აშშ-ს სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის სიმძლავრე დიდწილად ეჭვგარეშეა (განსხვავებით ერთეული კომპანიებისგან, რომელთაც ობლიგაციებზე დეფოლტის რისკი სახელმწიფოზე მაღალი აქვთ).

როგორია ინსტრუმენტის სტრუქტურა?

ობლიგაციის შეძენისას, ინვესტორი პრაქტიკულად სესხს გასცემს აშშ-ს ხაზინაზე. შესაბამისად, ინვესტორი თავდაპირველად იხდის ობლიგაციის თანხას სრული ოდენობით, სანაცვლოდ კი ხაზინა მას ან ერთჯერადად უბრუნებს ძირ თანხას და კუპონს ობლიგაციის ვადის ამოწურვისას ან ასევე წინასწარ უხდის კუპონებს ამ ვადის განმავლობაში. ინსტრუმენტის ვადიანობა შეიძლება იყოს 1 თვიდან 30 წლამდე დიაპაზონში, ხოლო ინვესტიციის მინიმალური რაოდენობა კი სულ რაღაც 100 აშშ დოლარია.

სახაზინო ობლიგაციების რისკიანობა და მომგებიანობა სხვა საინვესტიციო პროდუქტებთან შედარებით



ამონაგები 1-წლიან აშშ-ს სახაზინო ობლიგაციაზე



წყარო: FRED

რაიომ ახლა?

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ამონაგები აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებზე უკიდურესად დაბალი იყო (დიდი ხნის განმავლობაში 0%-თან ახლოსაც კი), თუმცა ეს მოცემულობა გასულ წელს შეიცვალა, როცა მზარდმა ინფლაციამ აშშ-ს ფედერალური რეზერვი აიძულა გაეზარდა საბაზისო განაკვეთი და ამით გაეძვირებინა ფულადი რესურსის სესხების ფასი. მაგალითისთვის, დღეს წლიური საპროცენტო განაკვეთი 1-წლიან სახაზინო ობლიგაციაზე 5.0%-მდეა, რაც ისტორიულად მაღალი უკუგების მაჩვენებელია (ყველაზე მაღალი 2007 წლის შემდეგ).